სამეტყველო ბგერების მახასიათებლები და მეტყველების გარჩევადობა 6-7 წლის ასაკის დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში

მაია ბერიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

სარჩევი

აბსტრაქტი 3

Abstract 4

შესავალი 5

კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები 6

დაუნის სინდრომი (გენეტიკური დარღვევის მოკლე მიმოხილვა) 7

სამეტყველო ბგერების ზოგადი დახასიათება 9

ლიტერატურული მიმოხილვა 10

სამეტყველო ბგერების წარმოება დს–ის დროს 10

მეტყველების გარჩევადობა დს–ის მქონე ბავშვებში 25

კვლევის მეთოდოლოგია 32

კვლევის დიზაინი 32

კვლევის მონაწილეები 32

შეფასების ინსტრუმენტები 33

კვლევის შედეგები 35

დისკუსია 41

კვლევის შეზღუდვა 44

შეჯამება 45

გამოყენებული ლიტერატურა 46

დანართი 1 51

დანართი 2 52

აბსტრაქტი

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში მეტყველების გარჩევადობა ერთ-ერთი წამყვანი სირთულეა, რაც ხშირად ვლინდება პრაქტიკაში მშობელთა ინტერვიუს საფუძველზე და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებთან ურთიერთობის დროს, რომელიც მოიცავს ბგერათწარმოთქმის სირთულეს. ბგერათწარმოთქმის სირთულე განეკუთვნება მეტყველების დარღვევას, რაც დიდ გავლენას ახდენს მეტველების პროდუცირებაზე, შედეგად, მეტყველება ასაკის შეუსაბამო ხდება. ბგერათწარმოთქმის სირთულე კი, შესაძლოა, გამოწვეული იყოს: არტიკულაციური, ფონოლოგიური, ორალურ-მოტორული დარღვევებთით ან/და ბავშვთა მეტყველების აპრაქსიით. საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვისა და კვლევების მიხედვით, ბავშვებთან ბგერათწარმოთქმის სირთულეების დროული იდენტიფიცირება და სწორი ინტერვენცია უმნიშვნელოვანესია მუშაობის პროცესში მეტყველების გარჩევადობის გასაუმჯობესებლად.

საერთაშორისო კვლევებზე დაყრდნობით დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების 95%-ში ვლინდება ბგერათწარმოთქმის სირთულეები.

კვლევის მიზანს წარმოადგენს 6-დან 7 წლამდე ასაკის დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში ფონოლოგიური პროცესების და სამეტყველო ბგერების მახასიათებლების იდენტიფიკაცია.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 14-მა 6-დან 7 წლამდე ასაკის დაუნის სინდრომის მქონე ბავშვმა. კვლევის მონაწილეებთან ერთად, პროცესში, ასევე, ჩართულნი იყვნენ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მშობლები და სხვადასხვა დღის ცენტრში მომუშავე ადრეული ინტერვენციის სპეციალისტები.

კვლევის შედეგების მიხედვით გამოვლინდა, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს, 6-დან 7 წლამდე ასაკში, აქვთ მაღალი მაჩვენებელი, როგორც შეცდომების, რაც მოიცავს ბგერის ჩანაცვლებას, ბგერის ამოგდებას, ბგერის მახასიათებლის შეცვლას და ბგერის დამატებას, ასევე, გამოვლინდა ფონოლოგიური პროცესების ყველა მაჩვენებელი: ჩანაცვლება, ასიმილაცია და მარცვლის სტრუქტურის ცვლილება.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ 6-დან 7 წლამდე ასაკის დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს აქვთ, უფრო მეტი, არტიკულაციური სირთულეები, ვიდრე ფონოლოგიური, რომელიც განსაზღვრავს მეტყველების გარჩევადობის ხარისხს.

საკვანძო სიტყვები: დაუნის სინდრომი, სამეტყველო ბგერები, მეტყველების გარჩევადობა.

Abstract

Intelligibility of speech is one of the most challenging complications in children with Down Syndrom (DS) this problem reveals in Speech Sound difficulties, wich we see in practice during interaction with children and due to parent interviews. Speech sound difficulties are allocated to Speech sound disorders, wich has hugh impact on speech production and therefor individual's speech turns not age appropriate. Speech sound difficulties could be caused by: articulation, phonological or oral -motor issues, or/and because of Childhood Apraxia of Speech. Based on international research and literature, early identification and intervention of Speech sound disorders is extremly important for speech intelligibility.

Found on international research in 95% of children with Down syndrom, Speech sound difficulties are manifested.

The Aim of this study was: Identification of phonological processes and speech sound characteristics in 6-7 years old children with DS.

Participants of this study were 14 children with DS from 6 to 7 years old. Other participants were also, parents of children and proffesionals from early intervention services.

The results of study showed, that children wit DS in ages 6-7, have high rate of speech errors including: sound substitution, omission, distortion, addition and also phonological processes like: substitution, assimilation, and changing syllable structure.

The study results showed, that children with DS in ages 6-7 have articulatory difficulties rather than phonological processes, wich determines intelligibility of speech.

Key words: Down Syndrom, speech sounds, speech intelligibility